პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მოწინავეთა მხარდამხარ

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 289 (18831) შაბათი, 17 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. ამ საკითხებზე ინფორმაციები გააკეთეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ვ. თ. გარბუზოვმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წელს დაჩქარდა ეკონომიკური ზრდის ტემპი, რამდენადმე გაუმჯობესდა მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში გეგმების შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებლები და დონე, გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, გადიდდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი, დაჯდებითი ძვრა შეინიშნება მთლიანად სახალხო მეურნეობაში. განხორციელდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მართვის ყველა დონეზე კადრების მუშაობაში ორგანიზებულობის, ეგრგალითანობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი. ასეთ პირობებში არ უნდა შევანელოთ ახლადდადგმული ტემპი, უნდა შევინარჩუნოთ საერთო დადებითი განწყობა საქმეებისათვის, კიდევ უფრო მტკიცედ და თანამიმდევრულად განვაგრძოთ მეურნეობრიობა ინ დონის ამაღლების კურსი, უფრო აქტიურად განვავითაროთ პოზიტიური ტენდენციები.

1984 წლის სახელმწიფო გეგმა უნდა გახდეს პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების შესრულების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი. იგი მეტად, ვიდრე ოდესმე, მიზნად ისახავს ეკონომიკის ეფექტიანობის გაზრდას, სახალხო მეურნეობის დინამიკურ განვითარებას. გეგმა საწარმოებს, სამინისტროებსა და უწყებებს ამოცანად უსახავს უზრუნველყონ პროდუქციის წარმოების მატება მატერიალური რესურსების, განსაკუთრებით სათბობისა და ლითონის ნაკლები ხვედრითი დანახარჯებით. ყურადღების ცენტრში მუდამ იყოს დავალებათა შესრულება ისეთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულება და მოგება. გეგმით გათვალისწინებულია დანახარჯ ბ ი ს ზრდასთან შედარებით საბოლოო შედეგების უპირატესი ზრდა, პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის ფართო დანერგვა. ძლიერდება გეგმის სოციალური მიმართულება.

15 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო ფინეთის პრემიერ-მინისტრი კ. სორსა, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი სამთავრობათშორისო კომისიის მორიგ სხდომასთან დაკავშირებით.

კომისიის ფინეთის ნაწილის თავმჯდომარის პოსტზე კ. სორსას დანიშვნასთან დაკავშირებით ნ. ა. ტიხონოვმა მას წარმატებანი უსურვა ამ პასუხსაგებ საქმიანობაში.

საუბრის დროს მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ბაზაზე სსრ კავშირისა და ფინეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის წარმატებული განვითარების გამო. ახალი 20 წლის პერიოდისათვის ხელშეკრულება ამასწინანდელი გაგრძელება მტკიცე საფუძველს უქმნის საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრული ურთიერთობის დინამიკურ განვითარებას ყველა დარგში ხანგრძლივი პერსპექტივისათვის, ეს არის წვლილი ევროპაში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ორივე ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ნაყოფიერი ხასიათი დამაჯერებლად დასტურებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წარუვალ მნიშვნელობას, იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის საბოლოო აქტის დებულებათა თანამიმდევრულ განხორციელებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვისა და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელების ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან მ. კოივისტოსთან მიმდინარე წლის ივნისში გამართული მოლაპარაკების დროს მიღწეული პრინციპული მორიგებების შესაბამისად განიხილეს 1985 წლის შემდგომ პერიოდში სსრ კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობის საკითხები.

აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალ დონეზე და შეწონასწორებულ საფუძველზე ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის განგრძობისათვის სავაჭრო-ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების გრძელვადიანი პროგრამის წარმატებულ რეალიზაციას. შეეხნენ აგრეთვე 1986-1990 წლებისათვის ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმების დაწყებულ მომზადებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ დარგში ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივმა სამთავრობათაშორისო კომისიამ.

(საკდესი).

საუბარი კრემლში

15 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო ფინეთის პრემიერ-მინისტრი კ. სორსა, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი სამთავრობათშორისო კომისიის მორიგ სხდომასთან დაკავშირებით.

კომისიის ფინეთის ნაწილის თავმჯდომარის პოსტზე კ. სორსას დანიშვნასთან დაკავშირებით ნ. ა. ტიხონოვმა მას წარმატებანი უსურვა ამ პასუხსაგებ საქმიანობაში.

საუბრის დროს მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ბაზაზე სსრ კავშირისა და ფინეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის წარმატებული განვითარების გამო. ახალი 20 წლის პერიოდისათვის ხელშეკრულება ამასწინანდელი გაგრძელება მტკიცე საფუძველს უქმნის საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრული ურთიერთობის დინამიკურ განვითარებას ყველა დარგში ხანგრძლივი პერსპექტივისათვის, ეს არის წვლილი ევროპაში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ორივე ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ნაყოფიერი ხასიათი დამაჯერებლად დასტურებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წარუვალ მნიშვნელობას, იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის საბოლოო აქტის დებულებათა თანამიმდევრულ განხორციელებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვისა და სხვა ხელმძღვანელების ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან მ. კოივისტოსთან მიმდინარე წლის ივნისში გამართული მოლაპარაკების დროს მიღწეული პრინციპული მორიგებების შესაბამისად განიხილეს 1985 წლის შემდგომ პერიოდში სსრ კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობის საკითხები.

აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალ დონეზე და შეწონასწორებულ საფუძველზე ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის განგრძობისათვის სავაჭრო-ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების გრძელვადიანი პროგრამის წარმატებულ რეალიზაციას. შეეხნენ აგრეთვე 1986-1990 წლებისათვის ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმების დაწყებულ მომზადებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ დარგში ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივმა სამთავრობათაშორისო კომისიამ.

(საკდესი).

კალდრების სწავლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებ ი ს კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში სწავლა დაამთავრეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა.

სასწავლო პროგრამა შეიცავდა პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, მართვისა და კონტროლის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პრობლემებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ძირითადი ყურადღება მსმენელებმა დაუთმეს ამოცანებს, რომლებიც ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებათა განხორციელ ებ ა ს, როგორიცაა კაპიტალდაბანდებათა სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და სამრეწველო და საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის, მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების საქმიანობისადმი კონტროლის უზრუნველყოფა, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულება.

გამსვლელი პრაქტიკული მეცადინეობა გაიმართა თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე ა. ი. კავსაძე, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

(საქინფორმი).

რესპუბლიკის მშრომელები საქმეშობლოს უპატაკებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ ახალ შრომით წარმატებებს

წელიწადს აგვირგვინებს დამკვრელური გარჯის ნაყოფი!

აჭარა: წლიური გეგმა-ვადამდე

როგორც რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც წართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკისათვის საიუბილეო წელს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შეასრულეს წლიური გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

ვადამდე, 15 დეკემბერს შესრულდა სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების გეგმები და დავალებანი. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის დავალებანი. დამზადებულია 21 ათასი ტონა ხილი, 138 ათასი ტონა ციტრუსი, 71 ათასი ტონა ჩაი. შესრულებულია კარტოფილის, თამბაქოს, აბრეშუმის პარკის, კვერცხის დამზადების დავალებანი. ამოქმედდა მთელი რიგი სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები. (საქინფორმი).



15 დეკემბერს, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციის გახსნის წინ, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა სამშობლოს უპატაკეს პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის ვადამდე შესრულება.

ჯერ კიდევ მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგს აჭარის პარტიულმა აქტივმა, განიხილა რა თავის კრებაზე სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები, ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში კარდინალურ მიმართულებად მიიჩნია წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის მეხედვით საკავშირო და რესპუბლიკური დონეებისაგან ჩამორჩენის დაძლევა. ეს ამოცანები წარმატებით წყდება, მრეწველობა უპირატესი ტემპით ვითარდება.

ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მრეწველობაში წარმოების მოცულობის მატებამ საკუთრივ ციფრებით 7,7 პროცენტის ნაცვლად 14,2 პროცენტი შეადგინა. მარტო შარშან გეგმის დამატებით დამზადდა 52 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მიმდინარე წლის დამლევამდე დარჩენილ დროში გეგმის გადაჭარბებით დამზადდება 26 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს საშუალებას მოგვცემს ხუთწლედის განვლილ პერიოდში 16,3 პროცენტით გავზარდოთ წარმოების მოცულობა 1980 წელთან შედარებით.

ცნობილია, რომ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა წარმოების ეფექტიანობის ყველა მაჩვენებლის გაუმჯობესების მთავარი პირობაა. აჭარის საწარმოებში პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით განხორციელდა ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი ღონისძიებანი.

წარმატებით სრულდება ხელის შრომის მექანიზაციის პროგრამა. სამ წელიწადში მისი დონე 5,7 პროცენტით გაიზარდა და დღეისათვის 58,1 პროცენტს მიაღწია. განსაკუთრებით დიდი მუშაობაა გაწეული ამ მიმართულებით ხელვაჩაურისა და ქობულეთის გაერთიანებების ჩაის ფაბრიკებში, სადაც დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი ახალი მექანიზმი, ტექნოლოგიური დანადგარი.

სტაბილურად ხორციელდება შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმები. 1983 წელს, მეათე ხუთწლედის ბოლო წელთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით და მეტად გაიზარდა. თუ 1980 წელს ამ ფაქტორის ხარჯზე მიღებული იყო სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 83,7 პროცენტი, წელს ამ მაჩვენებელმა 90 პროცენტს მიაღწია.

აჭარის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფას. წელს საპატიო ხუთკუთხედით მარკირებული პროდუქციის ხვედრითი წილი შეადგენს წარმოების საერთო მოცულობის 24 პროცენტს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ბათუმის ხის დამმუშავებელმა კომბინატმა, რომელიც ავეჯს მხოლოდ ხარისხის ნიშნით უშვებს, ნავთობგადამმუშავებელმა ქარხანამ, რომლის რვა სახეობის პროდუქციას საპატიო ხუთკუთხედი მიენიჭა, ტრანსფორმატორების ელექტრომექანიკურმა ქარხანამ და სხვა მოწინავე საწარმოებმა.

ხუთწლედს უწყობენ ნაგებობს

ვ. პაპუნიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ხუთწლედის ბოლო წელთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით და მეტად გაიზარდა. თუ 1980 წელს ამ ფაქტორის ხარჯზე მიღებული იყო სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 83,7 პროცენტი, წელს ამ მაჩვენებელმა 90 პროცენტს მიაღწია.

აჭარის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფას. წელს საპატიო ხუთკუთხედით მარკირებული პროდუქციის ხვედრითი წილი შეადგენს წარმოების საერთო მოცულობის 24 პროცენტს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ბათუმის ხის დამმუშავებელმა კომბინატმა, რომელიც ავეჯს მხოლოდ ხარისხის ნიშნით უშვებს, ნავთობგადამმუშავებელმა ქარხანამ, რომლის რვა სახეობის პროდუქციას საპატიო ხუთკუთხედი მიენიჭა, ტრანსფორმატორების ელექტრომექანიკურმა ქარხანამ და სხვა მოწინავე საწარმოებმა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი სამრეწველო საწარმოების დაქვემდებარების რეორგანიზაც ი ი ა, ამ პროფილის 25 საწარმოს აგრო-სამრეწველო კომპლექსში გაერთიანება იძლევა შესაძლებლობას, უფრო მოქნილად წარიმართოს ამ დარგის მუშაობა, რომლის ხვედრითი წილი აჭარის მრეწველობაში 45 პროცენტს შეადგენს.

აქ ბევრი რამ კეთდება ახალი ტექნოლოგიის დანერგვისათვის. მაგალითად, ბოლო წლებში შემდგომ დამუშავების მიზნით გოგირდოვანი ანჰიდრიდით ციტრუსების შებოლვის პრაქტიკამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეშვა მეტი დამატებითი სამრეწველო პროდუქცია, გაგვეგრძელებინა აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატში ნედლეულის გადამუშავების სეზონი. ამის მეოხებით შარშან ციტრუსების კონსერვების გამოშვება 44 მილიონი მანეთით გაიზარდა.

ამასთან ჩვენი მრეწველობის მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებები, ხარვეზები, ბევრი გადაუჭრელი პრობლემა. წელს თერთმეტმა საწარმომ შეამცირა წარმოების მოცულობა. პროდუქციის გამოშვების გადიდების საკითხებს არადამაკმაყოფილებლად ეკიდებიან ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის, აჭარის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების, ჩაქვის ჩაის საწნეხი ფაბრიკის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები.

სიძნელეებია ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ნედლეულით მომარაგებაში. მათ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ ავტონომიურ რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მოცულობაზე. ქარხნის ხელმძღვანელებმა, პარტკომმა მაქსიმალური ძალ-ღონე უნდა მოახმარონ ნავთობის გადამუშავების გადიდების უზრუნველყოფას.

საბჭოთა აჭარის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ვადამდე შეასრულონ აგრეთვე მომავალი წლის, მთელი ხუთწლედის დავალებანი.

ახალი წლის წინ აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ქობულეთის რაიმრეწკომბინატის საამქრომ, რომელიც ეს-ეს არის ამოქმედდა, გამოუშვა ნატურალური შავი ჩაის თხევადი კონცენტრატი. აქ იყენებენ დაბალხარისხოვან ჩაის, რომელიც წინათ წარმოების ნარჩენებში მიდიოდა. დღეიდან ეს ნარჩენები მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევიან: 1984 წელს ახალი საამქრო 2 ათას ტონა დაბალხარისხოვან ჩაის მიიღებს, რომლისგანაც ჩინებული პროდუქცია დამზადდება. იგი საწარმოს რვა მილიონ მანეთს შემოსავალს მისცემს.

სურათებზე: ჩაის კონცენტრატის წარმოების ხაზის მუშაკი ელგუჯა ყორღოლიანი სეპარატორთან; ქობულეთის რაიმრეწკომბინატის ჩაის კონცენტრატის დასაწყობი ხაზი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მრავალ ქვეყანაში

აჭარის სამრეწველო საწარმოთა ათობით დასახელების პროდუქცია იგზავნება საექსპორტოდ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეს არის ჩაის ფაბრიკების სრული აღჭურვილობა, ელექტროკარები, ელექტროტექნიკური ნაწარმი, მედიკამენტები. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ოცამდე დასახელების პროდუქციას უშვებს, რომელთა ნაწილი საექსპორტო დანიშნულებისაა.

საქართველოს საზღვარი ჭიშპარი

საქართველოს საზღვაო სანაოსნო, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი, ყველაზე ახალგაზრდა სანაოსნოა. მიუხედავად ამისა, იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე სატრანსპორტო ორგანიზაციაა.

ბათუმი ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი ნავსადგურია. აქ ყოველწლიურად ათასზე მეტი ტანკერი და ლაინერი უშვებს ღუზას. ნავსადგურში დანერგილია როგორც მისადგომიანი, ასევე უმისადგომო დატვირთვა.

შრომობენ სანაქებოდ

ბათუმი. (საკ. კორ.). საყოფაცხოვრებო მანქანათაშენებელი ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს საწარმომ მეთერთმეტე ხუთწლედის სამ წელიწადში მიაღწია. ამ ხნის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასაათასობით მანეთის პროდუქცია.

კოლექტივმა სანაქებოდ იშრომა მიმდინარე წელსაც. მან 10 დეკემბერს შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგ ა. გადაწყდა, წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვან 430 ათასი მანეთის პროდუქცია.

● ვადამდე შესრულდა სასაქონლო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა. წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით დამზადდება 26 მილიონი მანეთის პროდუქცია,
● მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში წარმოების ზრდის ტემპმა 16,2 პროცენტს მიაღწია. 1980 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა 100 მილიონი მანეთით გაიზარდა,
● დამზადებულია: 138 ათასი ტონა ციტრუსი, 71 ათასი ტონა ჩაი, 21 ათასი ტონა ხილი.

მენავთობეთა გამარჯვება

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამბ. ე. ა. შევარდნაძე თავის გამოსვლაში შეეხო რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის წინაშე დასახულ ამოცანებს. საქართველომ საკუთარი რესურსებით უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის მოთხოვნილება ნავთობპროდუქტებზე. ამ პოზიციებიდან განსაზღვრა ნავთობის მრეწველობის პერსპექტივები, მაგრამ საქმე მხოლოდ რაოდენობას როდი ეხება, ასევე, გადამწყვეტი ყურადღება ექცევა პროდუქციის ხარისხს.

პროდუქციის ხარისხის ამაღლების ფორმებისა და მეთოდების შემუშავებაში გარკვეული გამოცდილება შევიძინეთ. კერძოდ — პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ცალკეული ღონისძიებებიდან გადავედით კომპლექსური სისტემის შემუშავებასა და დანერგვაზე.

მას შემდეგ, რაც საექსპლოატაციოდ გადაეცა სამგორ-ბათუმის ნავთობსადენი, საიდანაც ჩვენს ქარხანაში მოედინება ქართული ნავთობი, ბევრად გაუმჯობესდა ხარისხი. ახლა ქართული ნავთობი შეადგენს. მთელი ჩვენი ნედლეულის დიდ ნაწილს. ბოლო წლებში საწარმოში მრავალი სიახლე დაინერგა. დანადგარზე გაკეთდა ახალი ღუმელი, რითაც გაიზარდა დანადგარის მწარმოებლობა. დამონტაჟდა მე-14 დანადგარი, რამაც განაპირობა დანაკარგების შემცირება.

1975 წელთან შედარებით საწარმოს სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხარისხობრივ მაჩვენებლებს. თუ 1975 წელს ხარისხის ნიშნით გამოდიოდა მთელი პროდუქციის 29 პროცენტი, ახლა მან 50 პროცენტს გადააჭარბა. ამკამად საწარმოს მიერ გამოშვებული სხვადასხვა პროდუქციიდან 9 სახეობის ნაწარმს მინიჭებული აქვს ხარისხის უმაღლესი ნიშანი.

1981-1982 წლებში ჩვენი ქარხანა წაწყდა გარკვეულ სიძნელეებს, როგორც ცნობილია, იგი ერთადერთი ვეტერანი საწარმოა, ბევრი დანადგარი ამორტიზებულია და მორალურად და ფიზიკურად ვეღარ უპასუხებს მოთხოვნებს. ასეთმა ტექნოლოგიურმა წინააღმდეგობებმა და ნედლეულის არარიტმულმა მიწოდებამ გეგმის შესრულებაში გამოიწვია შეფერხებები. ეს საკითხი განდა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის, მთელი კოლექტივის მსჯელობის საგანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დახმარებით, ქარხნის კოლექტივის ერთსულოვნებისა და დარაზმულობის შედეგად თავი დავაღწიეთ ჩამორჩენას. ტექნოლოგიურმა სიახლეებმა ნედლეულის მიწოდების გაუმჯობესებამ თავისებურად იმოქმედა საერთო წარმატებებზე. ამით უნდა აიხსნას, რომ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა 1983 წლის პირველი-მეორე და მესამე კვარტალებში ზედიზედ დაიმსახურა ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

ე. გვენცაძე,
ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი.

ჩვენი სიტყვა და საქმე

აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატის მშრომელები წლითიწლობით ზრდიან წარმოების მოცულობას; აუჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ბოლო ათწლეულში პროდუქციის წარმოება ამ ორჯერ გაიზარდა.

მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს. ჯერ კიდევ გაზაფხულზე კოლექტივმა ვალდებულება იკისრა პროდუქციის წარმოების გეგმა 20 დეკემბრისათვის შეესრულებინა. საამისოდ ქარხანაში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. თითოეულმა საამქრომ, ბრიგადამ, თითოეულმა მუშამ იკისრა კონკრეტული ვალდებულება. დაძაბულ შრომას შედეგიც კარგი მოჰყვა. მეკონსერვეებმა დროს გავუსწორით და მიმდინარე წლის გეგმა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციის XXXVII კონფერენციის დღისათვის შეესრულეთ. მნიშვნელოვნად გადავამეტეთ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმას. მომხმარებელმა დაგეგმილი 17.430 ათასის ნაცვლად მიიღო 17.477 ქილა კონსერვი.

როგორ მივაღწიეთ წარმატებას? ეს განპირობა წარმოების ეფექტიანობამ, შრომის ნაყოფიერების ამაღლებამ, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფამ. დიდად შეგვიწყო ხელი სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ციტრუსოვანთა გოგირდის ანჰიდრიდით შებოლვის ტექნოლოგიის დანერგვამ. ახალი ტექნოლოგიის მეოხებით ხანგრძლივად ინახება ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც საშუალებას იძლევა საწარმო მთელი წლის განმავლობაში ამზადებდეს ჯემებს, მურაბებსა და სხვა პროდუქციას.

წლის ბოლომდე რამდენიმე დღე დარჩა. ჩვენი კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ უფრო მაღალი მაჩვენებლებით დაამთავროს სამეურნეო წელი.

მ. ჟაჯაია,
აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატის საკონსერვო საამქროს მუშა-ლაბორანტი.

განაყოფილება მოამზადა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციამ — „კომუნისტის“ კოლექტიურმა კორესპონდენტმა.

16 დეკემბერი

საკადრისი

ფაქტებზე დაფუძნებული მოვლენებზე ობიექტური

საკადრისი იუწყება

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენციებ

მუდამ ფხიზლობენ

...ეს ამბავი სულ ახლახან მოხდა ამერიკაკავკასიის საზღვრის ერთ-ერთ უბანზე. უფროსი სერჟანტი ვ. ძაკიმოვი საგუშაგო სამსახურს ასრულებდა უცხოეთის გემის ტრაპთან. იგი ყურადღებით ამოწმებდა საბუთებს, თვალს ადევნებდა, თუ როგორ ასრულებდნენ გემის ეკიპაჟის წევრები „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს.

მოულოდნელად გემბანზე გამოჩნდა მეზღვაური, რომელმაც მესაზღვრეს ფული და სიგარეტები შესთავაზა. ახალგაზრდა კომუნისტი პროვოკაციას არ ყმოეგო და ფხიზლად განაგრძობდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

იმავე დღეს სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუხდა აგრეთვე უფროს სერჟანტ ვ. იაკიმოვის თანამოსამსახურეს, ახალგაზრდა კომუნისტს ვ. შელუდკოს. მან აღმოაჩინა და დააკავა აკრძალული ლიტერატურა...

ამგვარი შემთხვევები ერთეული როდია. მარტო მიმდინარე წელს სამშობლოს სამხრეთი საზღვრების გუშაგებმა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის ბევრი დამრღვევი დაიკავეს, აღმოაჩინეს აკრძალული ლიტერატურა და კონტრაბანდა. სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა მწვანეკუდიანი მეომრების მხედრულ შრომას. კომუნისტები ი. რომანიუკი, ო. იაშნიკოვი, ვ. სლასანი, ს. გორბატენკო, ვ. პოგრებიცკი და ბევრი სხვა მესაზღვრე საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის კომუნისტ მესაზღვრეთა ყველა მეომრის მაღალ სიფხიზლესა და ოსტატობაზე ილაპარაკეს თბილისში გამართულ მეცხრე საოლქო პარტიულ კონფერენციაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების პოლიტიკური განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ გ. ი. კუცის მოხსენებაში და კამათის მონაწილე მესაზღვრე დელეგატთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ი. ვ. ანდროპოვის დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია მის სიტყვებსა და განცხადებებში, მხურვალედ უჭერენ მხარს და ერთსულოვნად იწონებენ ამიერკავკასიელი მესაზღვრეები. მათ მიიღეს ისინი როგორც სახელმწიფო საზღვრის დაცვის შემდგომი გაძლიერების, საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების, სამხედრო დისციპლინის, ორგანიზებულობისა და წესრიგის განმტკიცებისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამა.

ახლანდელი საერთაშორისო ვითარება გავლენას ახდენს სსრ კავშირის საზღვარზე შექმნილ ვითარებაზეც. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი დამქაშები ცდილობენ საბჭოთა კავშირის საზღვრები ცხელ წერტილებად აქციონ, მათ მაზლობლად შექმნან დაძაბულობის კერები. ითვალისწინებენ რა ყოველივე ამას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ნიადაგ ზრუნავენ საზღვრის დაცვის შემდგომი გაძლიერებისათვის. ამის მკაფიო გამოვლინებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, რომელიც ახალი ეტაპია სასაზღვრო ჯარების ცხოვრებასა და საქმიანობაში. ამ კანონის შესაბამისად საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტმა მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი, განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აქტიურად დაეხმარონ სასაზღვრო ჯარებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

კონფერენციაზე გააანალიზეს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობა, განსაზღვრეს მისი შემდგომი გაუმჯობესების, მეომართა იდეოლოგიური წრთობის, სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სრულყოფის, დისციპლინისა და სამხედრო წესრიგის განმტკიცების ღონისძიებანი პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ბრძანებების, ამიერკავკასიის ოლქის ჯარების სარდალი ვ. მ. არხიპოვი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე ბ. ი. ჯოროვინი, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის წევრი, პარტიის ნოვოროსიისკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. ჟურკინი, სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მ. ა. იოსბაშიანი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამმართველოს უფროსი კრასნოდარის მხარეში გ. ი. ვასილენკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დამინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ს. მ. ჰუსეინოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე მ. მ. დავთიანი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. ინაური, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ვ. მ. არხიპოვი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე ბ. ი. ჯოროვინი, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის წევრი, პარტიის ნოვოროსიისკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. ჟურკინი, სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მ. ა. იოსბაშიანი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამმართველოს უფროსი კრასნოდარის მხარეში გ. ი. ვასილენკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმ

მათი გმირული ცხოვრება ჩვენთვის მაგალითია

ტაქტიკური წვრთნის დაწყების წინ № ნაწილის მეომრებს ესტუმრა პარტიის ვეტერანი მაკარ ჯაში. თბილი და გულითადი იყო ეს შეხვედრა. სამშობლოს სამხრეთით საზღვრების გუშაგები დიდი ინტერესით ისმენდნენ ერთ-ერთი ომთგანის ნაამბობს, ვინც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სათავეებთან იდგა, უშუალოდ მონაწილეობდა სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შექმნაში, დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მშობლიურ მიწა-წყალს იცავდა ფაშისტ დამპყრობთა შემოსევისაგან. მამულიშვილურ სიტყვად გაისმა მისი დარიგება, რომ ახალგაზრდა ჯარისკაცებმა საომედოდ უნდა დაიცვან საბჭოთა ხალხის დიადი მონაპოვრები აგრესორთა შესაძლო ხელყოფისაგან, ბეჯითად შეისწავლონ სამხედრო საქმე, ყოველგვარი მტრის დამარცხების ძნელი მხედრული მეცნიერება.

ვ. არხიპოვი,

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი.

ოლქის მეომართა ხშირი და სასურველი სტუმრები არიან მაკარ ჯაში და ნინო მარდალეიშვილი, რომლებიც საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე, საბჭოთა კავშირის გმირები გრიგოლ ბუაჩიძე, გრიგოლ კრამარენკო, კარაპეტ სიმონიანი, შოთა შურღაია, დიდების სამი ორდენის კავალერი გრიგოლ კოზაკაშვილი და ბევრი სხვა.

ამ ადამიანთა ცხოვრება რესპუბლიკის, საბჭოთა ქვეყნის ცოცხალი ისტორიაა. მათ წილად ხვდათ ურთულესი, თანაც ძალზე საპატიო ისტორიული მისია — მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, პირველი გზამკვლევები ყოფილიყვნენ ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის საქმეში, გამოეჩედათ იმპერიალიზმის დამკვრელ რაზმზე — ჰიტლერელთა ურდოებზე გამარჯვება.

საქართველოში დაახლოებით სამოცდაათი ათასი ვეტერანი ეწევა ეფექტიან მუშაობას. მათ შორის არის 33 საბჭოთა კავშირის გმირი, 11 დიდების ორდენის სრული კავალერი, 30-ზე მეტი თადარიგისა და გადამდგარი გენერალი. დაუღალავი საზოგადოებრივი საქმიანობით, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით, კომუნისტური რწმენის პირადი მაგალითით, ისევე როგორც მთელი თავისი გმირული წარსულით, მათ საყოველთაო პატივისცემა და აღიარება მოიპოვეს.

დრო უმმობელია. დღეს ვეტერანთა რიგებში დგებიან უკვე ისინი, ვინც თავიანთ მამებთან და უფროს ძმებთან ერთად საკუთარი მხრებით ზიდა დიდი სამამულო ომის 1418 დღე-ღამის მთელი სიმძიმე, მოიპოვა დიადი გამარჯვება და ბედნიერი, მშვიდობიანი ცხოვრება მოუტანა ახლანდელ თაობას.

ფრონტელთა უმრავლესობა დისპანსერულ აღრიცხვაზეა აყვანილი. ხუთ წელზე მეტია თბილისში მუშაობს ვეტერანთა რესპუბლიკური ჰოსპიტალი. ვეტერანთა სპეციალური მომსახურებაა ვაჟრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ყველა მოქალაქის ჩვენი ცხოვრების კანონით დადასტურებული წმიდათაწმიდა მოვალეობა გახდა ომის ვეტერანებისათვის დახმარება და მუდმივი ყურადღება.

ვეტერანებს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის პასუხად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, სამხედრო სამსახურისათვის, სამშობლოს დაცვისათვის ჭაბუკთა მომზადების საქმეში. ისინი დაუღალავად ეწევიან პარტიის, ხალხის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების პროპაგანდას. ეს ძალზე დიდმნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ დღეს საჭიროა ამ მუშაობის გააქტიურება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნილებათა დონეზე ამაღლება. სწორედ ამის შესახებ გაიმართა საფუძვლიანი სხა-ბაასი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმში დიდი სამამულო ომისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანებთან ოლქის სამხედრო საბჭოს წევრთა შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია.

ამ შეხვედრაზე საბჭოთა კავშირის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, გადამდგარმა პოდპოლკოვნიკმა, პროფესორმა ი. ნ. ციციშვილმა, თადარიგის ზემდგომმა დ. ნ. ცუგბამ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. ი. კალაძემ, თადარიგის ზემდგომმა რ. მ. ცეცხლაძემ, ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარის მოადგილემ, თადარიგის პოლკოვნიკმა ა. მ. ბერიძემ და სხვებმა კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს ახალგაზრდობასთან ვეტერანების მუშაობის გაუმჯობესების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების გზების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა ამერიკავკასიის რესპუბლიკების ყველა ვეტერანს მოუწოდეს, კიდევ უფრო გულმოდგინედ იმუშაონ მარქს-ენგელს-ლენინის უკვდავი იდეებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის, შთაუნერგონ მას ღრმა კომუნისტური რწმენა, მაღალი პოლიტიკური შეგნება, უნარი — საკადრისი პასუხი გასცეს კლასობრივი . მტრის იდეოლოგიურ დივერსიებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, მკვეთრად გამწვავებული საერთაშორისო ვითარების პირობებში. როგორც ხაზგასმით არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში, საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება თავისი და თავისი შეგობრების უშიშროებისადმი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მესვეურნი აშკარად აბუჩად იგდებენ სოციალისტური თანამეგობრობის ბანაკს.

ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში მუდამ მოელინან იმათ ცოცხალ, ემოციურ სიტყვას, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, საფუძველს უყრიდა სოციალისტურ საზოგადოებას, შრომობდა ხუთწლედის მშენებლობებზე, ზრდიდა სამშობლოს ეკონომიკურ ძლიერებას.

ემზადებიან რა გლობალური და „შეზღუდული“ ომების წარმოებისათვის, იმპერიალისტურმა მტაცებლებმა, რომლებიც ეყრდნობიან მოსყიდულ პროპაგანდისტულ აპარატს, გააჩაღეს იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც დღეს „ფსიქოლოგიური ომის“ ხასიათს იძენს. ჩვენი იდეური მტრების განუწყვეტელი ბოროტი გამოხდომების ობიექტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ჩვენი სოციალისტური წყობილება, ჩვენი შეიარაღებული ძალები — დედამიწაზე მშვიდობის საიმედო გარანტი. ბურჟუაზიული მჭლაბნელები, რომლებიც დაუსრულებლად იმეორებენ ყბადაღებულ მონაბეზრს „საბჭოთა კავშირის მხრივ ომის საფრთხის შესახებ“ და აყალბებენ საბჭოდრო ისტორიას, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, ცდილობენ გამაართულონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს აგრესიული პოლიტიკა.

თუ არა ომის მონაწილეებმა, რომლებმაც ლამის ნახევარი ევროპა გაიარეს და მიხაკისფერი ჭირისაგან იხსნეს მსოფლიო ცივილიზაცია, ვინ უნდა აწარმოოს აქტიური მუშაობა ბურჟუაზიული იდეოლოგების ბინძური ანტისაბჭოთა მონაჩმახის მხილებისათვის!

ჩვენ გვახარებს ვეტერანთა [illegible] წრაფება გააქტიურონ [illegible] მონაწილეობა მეომართა [illegible] იკულ-პატრიოტული აღზრდის საქმეში. დარწმუნებული ვართ, რომ მათი დახმარებით შეეძლებათ ავამაღლოთ მეომართა მაღალი ზნეობრიობისა და დისციპლინის სულისკვეთებით აღზრდის დონე. კონკრეტული მაგალითებით ვეტერანები შეძლებენ დამაჯერებლად უჩვენონ, თუ რაოდენ არის დამოკიდებული გმირული საქმეები სამხედრო მოსამსახურეთა შემსრულებლობაზე, შინაგან სიმტკიცესა და ორგანიზებულობაზე.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების სახელოვანი გამარჯვების 40 წლისთავის წინ ყოველ ვეტერანს სურს გახდეს ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების აქტიური პროპაგანდისტი. საპატიო მისწრაფებაა! ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ იგი განხორციელდება. ამის თავდებია ღრმა კომუნისტური რწმენა, ადამიანთა დაუოკებელი ენერგია, რომელთა მხურვალე გული უანგაროდ ემსახურება საყვარელ სამშობლოს. (საქინფორმი).

მთავარია ადამიანი!

განაზოგადა რა ჩვენი პრესის გამოცდილება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, რომ „მასების აღზრდაზე მთავარ ზემოქმედებას პრესა მოწინავე გამოცდილების, ცხოვრების ყველა სფეროში ნიმუშების პროპაგანდის მეშვეობით ახდენს. მას დიდი შესაძლებლობანი აქვს იმისათვის, რომ შთამბეჭდავად გვიჩვენოს ჩვენი თანამედროვის, შრომელი კაცის, — ამაღლებული იდეურ-ზნეობრივი თვისებების მქონე ადამიანის სახე“.

მშრომელი ადამიანების, მათი ინტერესების, საზრუნავისა და მისწრაფებების ამბავი კვლავინდებურად ჩვენი პრესის მთავარ შინაარსად რჩება. მშრომელი კაცი ჩვენი მთავარი გმირი და ადრესატია.

როცა მას მივმართავთ, როცა მის შესახებ ხალხს ვუამბობთ, ჩვენ უურნალისტური საშუალებების მთელი მდიდარი არსენალი უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ განა ჩვენი ნაამბობი ყოველთვის შთამბეჭდავად წარმოაჩენს მშრომელის სახეს, მშრომელთა კოლექტივის პორტრეტს? განა ყოველთვის ვახერხებთ ჩავაფიქროთ მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი საჭირბოროტო საკითხებზე, აკამოქმედოთ ისინი?

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით პუბლიკაციებს, ტელე და რადიოგადაცემებს, რომლებშიც ცოცხალ ადამიანს ავიწროებს ციფრები და ტექნიკური ტერმინები, ხოლო გმირის სახეს მექანიკურად აწყობენ სტანდარტული ბლოკებით.

რატომ ხდება ასე? კერძოდ, იმიტომ ხომ არა, რომ ზოგიერთ ჟურნალისტს ავიწყდება: საბოლოო ანგარიშით, რაზეც უნდა იყოს ლაპარაკი მასალაში — მოკლე ინფორმაცია იქნება თუ სოლიდური ნარკვევი — მისი სიტყვა მიმართული უნდა იყოს ადამიანის გონებისა და გულისადმი, პასუხს იძლეოდეს მისთვის საინტერესო საკითხებზე.

სწორედ ამაზე მსჯელობს ამ სტატიის ავტორი.

ერთხელ ტრადიციული ქართული ხაჭაპური ყოველად უტრადიციოდ გამოაცხვეს. ამერიკელმა ჟურნალისტმა დან ფიშერმა ქართული სამზარეულო წიგნში ჩაიხედა და მიუხედავად ამისა მაინც საკუთარი რეცეპტით გამოაცხო იგი. მან კარგად მოზილა და გაბრტყელა ცომი, მაგრამ შიგ ყველის ნაცვლად ანტისაბჭოურობა ჩადო. გამოვიდა ყოველად უგემური რაღაც, ცხადია, ჩვენთვის, ჩვენებური საჭმელების მცოდნისათვის, თორემ დარწმუნებული არა ვარ, რომ ოკეანისგაღმელმა მუშტრებმა ეს „ხაჭაპური“ მადიანად არ მიირთვეს. ავტორმა, მასაც არ უნდა დავუკარგოთ თავისი, ხელოვნურად და ოსტატურად გაუღიზიანა მათ ეს მადა.

სწორედ ამაზე გვექნება ლაპარაკი.

ამ ბოლო წლებში ჩემი დასავლელი კოლეგები ხშირად ჯღაბნიან რაღაცეებს საქართველოზე. და მეც ყოველივე ამას რაღაც ზიზღითა და ცხობისმოყვარეობით ვკითხულობ. ამ ორი გრძნობის არაბუნებრივი შეხამების ახსნა იოლია: შენ თვალწინ ცრუობენ, და შენ, პროფესიონალს, გაინტერესებს, როგორ აკეთებენ ამას. და თითქმის ყოველთვის, ცხადია, თხზულების იდეური, პოლიტიკური თუ ზნეობრივი შეფასების მიუხედავად, დაასკვნი: ოსტატურად აკეთებენ ამას, ესე იგი, ავტორები სიცრუის პრაქტიკას საფუძვლად უდებენ აღქმის ფსიქოლოგიის მოხოლოთებს, ადამიანის შეგნებაზე ინფორმაციის ზემოქმედების მექანიზმების ცოდნას, გათვალისწინებასა და გამოყენებას. ავტორები კარგად იცნობენ თავიანთ მომხმარებელს, იციან, როგორ მიუდგნენ და როგორ დაარწმუნონ, და ბოლოს, იციან ისიც, რომ გულისა და გონების მთავარ გზას ადამიანი კაფავს, და ამიტომ ინფორმაციის მთავარ ელემენტს მას მიანდობენ.

„საქმიანი და ფინანსური ახალი ამბები მკითხველს მოსაწყენად არ უნდა მივაწოდოთ“, — ასე დაახასიათეს ოცდაათიან წლებში ბაზარ „უოლ-სტრიტ-ჯორნალის“ ძირითადი კანონი მისმა რედაქტორებმა. მათი დევიზი ასეთია: ყველაფერი შეიძლება იკადრო იმისათვის, რომ ინფორმაციის პოლიტიკური ქადის გული კარგად დაღეჭოს და შეითვისოს ადამიანმა. ყველაფერი გამოდგება, ქართული ხაჭაპურიც და თბილისური ხილის წყლებიც, რომლითაც შეგიძლიათ ყაურვილი მოიკლათ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სახელგანთქმულ ლაღიძის წყლების მაღაზიაში.

თითქოს, დან ფიშერი ამ დაწესებულებას ერთადერთი მიზნით ეწვია — ხაჭაპური ეჭამა და „ტარხუნი“ წყალი დაეყოლებინა. პირველი ხუთი სტრიქონის შემდეგ გამოირკვა: სხვა შიმშილი აწუხებდა და სხვა წყურვილი კლავდა მას. ჭამა, სვა, ამასობაში კი, ვითომ სხვათა შორის, გვაცნობა, რომ ხაბაზი ძლივს აუდის საგგზო „აჭარულებისა“ და „ფენოვანის“ გამოცხობას, რადგანო „თავარობის ეკონომიკური რეგმა“ მეტისმეტად დიდიაო, რევოლუციამდე კი, როცა სახელგანთქმულმა მიტროფანე ლაღიძემ ეს დაწესებულება შექმნა, წყლების არჩევანი გაცილებით დიდი იყო, რადგან ფუნდატორი ნედლეულის შოვნის სიძნელეებს არ განიცდიდაო. ხომ მიეხვიდით, მკითხველო? მაგრამ, ფიშერი ამასაც არ დასჯერდა და გადაწყვიტა პროპაგანდა გაეწია კერძო მეწარმეობისათვის კიდევ ერთი მძლავრი საშუალებით — „ინფორმაციით“, არც მეტი არც ნაკლები, იმის შესახებ, თითქოს ეროვნული შუღლი მძვინვარებდეს აჭარული ხაჭაპურის ტაფის გარშემო.

ყოველივე ეს ორ ნაბეჭდ გვერდზე დაეტია, დაეტია კარგად, კომპაქტურად და, რაც მთავარია, თვალისა და კუჭისათვის, ესე იგი ცნობიერებისათვის შეუმჩნეველად.

ძალიან გთხოვთ, ნუ შეაფასებთ ამას ისე, თითქოს ფიშერს რეკომენდაციას ვაძლევდე პულიტცერის პრემიის მოსაპოვებლად. ამ შენიშვნებს სულ სხვა მიზანი აქვს, სახელდობრ: შეგიხედოთ ჩვენი ანტაგონისტების სამზარეულოში და ვნახოთ, რა და როგორ კეთდება იქ, ცოტა ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, თუ რამდენად ოსტატურად ვახერხებთ თვითონ ჩვენ ჩვენი სიმართლის დამტკიცებას. საამისოდ ძალზე ხელსაყრელი დროა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მოითხოვა სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროპაგანდის ქმედითობის მთავარ შემადგენელ ნაწილებზე, როგორიც გახლავთ მეცნიერულობა, სიმართლე და რეალისტურობა. ჩვენს არსენალს, გზადაგზა უნდა გადავხედოთ იმიტომაც, რომ ჩვენს წინააღმდეგ გაჩაღებული მტრული ინფორმაციულ-პროპაგანდისტული ომი (დ. ფიშერის რეპორტაჟი ამის კერძო მაგალითია) იმასაც მოითხოვს, რომ განვაახლოთ ინფორმაციულ-პროპაგანდისტული მასალების ინსტრუმენტირება უმთავრესად მკითხველებზე, მაყურებლებზე, მსმენელებზე მათი ზემოქმედების — ქმედითობის თვალსაზრისით.

ჩვენ არ გვეკადრება სირაქლემასავით თავი ბუჩქებში დავმაღოთ და თვალი ავარიდოთ ჩვენი ინფორმაციის კონკურენტუნარიანობის პრობლემებს. რეალიზმისათვის მოწოდება, რომელიც ივნისის პლენუმზე გაისმა, მოითხოვს ზუსტი არ შევაქციოთ სიმართლეს, რაკიბრ მტკივნეულიც უნდა იყოს იგი. კერძოდ, როგორც უნდა გვჭირდეს თვალს, ვთქვათ, ასეთი რეალობა: ჩვენ უკვე მონოპოლისტები აღარ ვართ შინაურ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ ფრონტზეც. ჩვენს ქვეყანაში ინფორმაციულ-პროპაგანდისტული სიტუაცია, როგორც სპეციალური გამოკვლევების ავტორები ამტკიცებენ. იმით გამოიხატება, რომ მოსახლეობას მხოლოდ ყოველმხრივი, გულახდილი ინფორმაცია აკმაყოფილებს.

ამ სამი-ოთხი წლის წინათ ჩვენს საგენტოს ეწვია „ფაინენშლ ტაიმსის „საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვში დენდ სატორი. მან საუბარი მევენახეობითა და მეღვინეობით დაიწყო, მერე კი ბოდიში მოიხადა და გვითხრა, ნება მიბოძეთ, რამდენიმე მწვავე შეკითხვა მოგცეთო, როგორც მან თქვა „ქართულ სინამდვილეზე“. შეკითხვები, მართლაც რომ, გაზუთხული აღმოჩნდა, თანაც საკმაოდ გაცვეთილი დასავლეთის „პრესაში ხშირი ხმარების გამო. ყოველ მათგანზე კოლეგა სატორმა პირდაპირი, გულწრფელი პასუხი მიიღო. და „კეთილსინდისიერად“ ჩამოთვალა ყველა ფაქტი — ისეთი თანამიმდევრობით, როგორითაც მას აცნობეს.

იძულებული ვართ სიტყვა „კეთილსინდისიერება“ ბრჭყალებში ვიხმაროთ, რადგან ბატონ სატორის სინდისი კეთილი არ აღმოჩნდა, ისე განმარტა მიღებული ფაქტები, რომ ახალი, ჩემისაგან ძირფესვიანად განსხვავებული პოზიცია შეიქმნა. და სწორედ ამით გამოვლინდა მისი, ავტორისეული დამოკიდებულება.

მაგალითად, მრავალნოვან, ინტერნაციონალურ თბილისში ერების ურთიერთობაზე საუბრისას მე გავიხსენე ჩვენი ისტორია, რომელმაც ჩემს თანამოქალაქეთ ასწავლა ყველაზე მეტად მეგობრობა დაიფასონ. შემდეგ ვისაუბრეთ ეროვნული კულტურების ფენომენზე, რომელებსაც დღეს ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო ხანა დაუდგათ. ბატონმა სატორმა ამის საფუძველზე თავის მკითხველებს შესთავაზა ვითომ მეცნიერული პასაჟი „მარქსიზმ-ლენინიზმის შესახებ, რომელიც დევნის რელიგიასა და კულტურას“, და იმ მიზნით, რომ ეს სიცრუე, რაც შეიძლება კარგად მოსანელებელი იყოს, დაუთრთო, თუ შეიძლება ითქვას, ასეთი ინფორმაცია: „...ისტორიის ჭრიჭნობას და მისი ბედუკუღმართობის გაგებას, შეიძლება ეწოდოს საკმაოდ გაცვეთილი ფრაზა, ბუნებრივი, ბუნებრივი, ბუნებრივი“ — ეს ბოლო ორი ბუნებრივი ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნებრივ ბუნ

[illegible]

ბრივი ვუფოდოთ, ეს უფრო სწორი იქნება. არა სინდისმა, არამედ კლასობრივმა ალღომ, ამერიკული ყაიდის ინგლისელი ჟურნალისტის (დ. სატორი ჩიკაგოში დაიბადა და, როგორც ჩანს, ამ ქალაქში გაბატონებული ზნეობრივი ნორმების გავლენით ჩამოყალიბდა) პროფესიულმა ხერხებმა აიძულეს იგი ისეთი აქცენტები გაეკეთებინა ინფორმაციაში და ისეთი თვალსაზრისით განეხილა ფაქტები, რომ შეიქმნა სრულიად დამახინჯებული და ამასთანავე გარეგნულად სავსებით მისაღები მის მიერვე გამოგონილი „სინამდვილე“.

ამ ინფორმაციაზე რომ ვბუზღდი ჩავუფიქრდი იმასაც, რომ ჩვენს ჟურნალისტიკაში საკმაოდ მკაფიოდ ვლინდება ფაქტებისადმი შესუსტებული ყურადღების ტენდენცია. დიახ, რა თქმა უნდა, ფაქტები ბეჭდვითი პროპაგანდის ძირითადი „საშენი მასალაა“, ხოლო მათი საინტერესო, მკაფიო, კლასობრივი პოზიციებიდან ინტერპრეტაციის უნარი, შეიძლება ითქვას, ჟურნალისტის ერთ-ერთი უმთავრესი პროფესიული ღირსებაა.

და მიუხედავად ამისა, ის უეჭველი ჭეშმარიტება, რომ ფაქტი პროპაგანდის პირველსაფუძველია, საჭიროებს არა მარტო ამის მრავალგზის გამეორებას, არამედ პრაქტიკულ დამკვიდრებასაც. რადგან პრაქტიკაში, გარკვეული ტრადიციების გამო, ჩვენში წინა პლანზე წამოიწია არა „ფაქტის ხელოვნებამ“, არამედ „სიტყვის ხელოვნებამ“, ანუ ეგრეთწოდებულმა ლიტერატურულმა ოსტატობამ, „ქალმის ფლობამ“.

ფაქტის წინაშე ბეჭდვითი სიტყვის პრიორიტეტს, ჩემი აზრით, სამავე დაედო იმ დროს, როცა იგი ლოზუნგის, მოწოდების, ბრძანების, დებულების ადეკვატური იყო... იმ დროიდან ხომ არ მოდის ჩვენი „გასამხედროებული“ ლექსიკონიც, რომელიც გულუბვად გვაწვდის ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორიც არის „ბრძოლა“, „მეწინავე პოზიციებზე გასვლა“, „ავანგარდში მიდის“, „გავაფართოოთ ფრონტი“, „შეიარაღებულნი დავხვდეთ“ და სხვა?

რამდენიც გინდა იყვირო „ჰალეა“, პირი არ გაგიტკბებაო! — ამბობს სპარსული ანდაზა. მოდით, ჩვენც ჩვენი ვთქვათ, რამეთუ ერთი და იგივე, უსაზღვროდ დაჭიმული სიტყვების ხშირი და დაუფიქრებელი გამეორება სულიერ და ფიზიკურ ენერგიას კი არ მატებს მკითხველს, პირიქით, ხშირად უკუაქცევს იმ მიზნებისაგან, რომლებისთვისაც, ვითომდა, მოეწოდებთ „საბრძოლველად“. სიტყვა „ჰალეის“ მეტისმეტად ხშირი გამეორება არათუ პირს არ გაგვიტკბობს, არამედ თვით ამ სიტყვასაც გაგაბუნდოვნებს. ეს უმაქნისი ლაყბობა კი არ არის არამედ ობიექტური კანონია, რომელიც თვალსაჩინო საბჭოთა ფსიქოლოგებმა დაადგინეს: ორიენტრების ჩაქირობის კანონი, რომლის შესაბამისადაც აღქმის განწყობა კლებულობს, თუ გაღიზიანება მრავალგზის მეორდება.

ბარემ ფსიქოლოგიაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, ეტყობა, რამდენნაირ ადამიანის ძალთა გამოყენების სფერო არსებობს, იმდენივეა ფსიქოლოგიაც. ცხადია, არის პროპაგანდის ფსიქოლოგიაც, რომელიც არსებობს როგორც ცოდნის სისტემა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც მეცნიერება. ურიგო არ იქნებოდა ჩვენს ჟურნალისტურ კორპუსში მოგვწყოს გამოკვლევა იმის დასადგენად, თუ ჩვენ შორის რამდენი კაცი იცნობს ამ პროპაგანდის ფსიქოლოგიის თუნდაც ანბანს.

ამაზე, ჩანს, ღიმს საგანგებოდ ლაპარაკი, ჯერჯერობით კი „სიტყვის ხელოვნებას“ დავუბრუნდეთ. ჩემი ღრმა რწმენით, ფაქტის წინაშე სიტყვის პიორიტეტი, თვალშისაცემი ლოზუნგის ხელოვნება, საინფორმაციო-პროპაგანდისტულ ლექსიკონში „სამხედრო სიტყვებისა და ტერმინების შემოღება ყველაზე მეტად შეესაბამება ჩვენი ეკონომიკის, ქვეყნის სახალხო მეურნეობის ექსტენსიური განვითარების პერიოდს, როცა საქმის წარმატებას წყვეტდა ადამიანთა დიდი მასების ძალებისა და ენთუზიაზმის უკიდურესი დაძაბვა, რომლებიც განიხილებოდნენ როგორც მოსაწილენი უდიდესი ბრძოლისა, რომელშიც მსხვერპლი, გაჭირვება, დანაკარგები გამართლებული იყო მიღწეული, ბრძოლით მოპოვებული მიზნით. ლოზუნგი „მოიტა მაგნიტკა!“ ენათესაებოდა მოწოდებას „მოიტა პერეკოპი!“, მათ ერთი ძირი ჰქონდათ, ეს ძირი კი, თავის მხრივ, სათავეს იღებდა ეპოქით ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ეს იყო საყოველთაო ენთუზიაზმი, თავდადება, თავგანწირვის სახელოვანი ეპოქა, და შრომითი რეკორდი მეომრულ გმირობას უტოლდებოდა, რადგან იგი, არსებითად, ასეთი იყო — მისი დამამყარებელი ხშირად ჯანმრთელობას და სიცოცხლეს სწირავდა, როგორც მებრძოლი და ჯარისკაცი, რომლის პროფესია და მოვალეობაა იბრძოდეს და, თუ საჭირო იქნება, დაიღუპოს გამარჯვების გულისთვის. ასეთი „კლიმატი“ რომ არა, არ იქნებოდა დნეპროპეტროვსი, კოლხეთის ათვისება, ამურის კომსომოლსკი, მაგნიტოგორსკი, წარმოუდგენელი იქნებოდა ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, პირველი ხუთწლედების შესრულება, და ნოლოს, სამამულო ომის პირობებში სახალხო მეურნეობის გარდაქმნა, გამარჯვების არსენალების შექმნა, დანგრეული ქვეყნის აღორძინება.

თაყვანი ვცეთ ამ სახელოვან ეპოქას და მის ირანაკლად სახელოვან ჟურნალისტიკას! მის გამოცდილებას ეუფლებოდნენ თაობები, იგი ოქროს ფურცლად შევიდა ჩვენს ისტორიაში და ჯერ კიდევ ბევრ რამეს გვასწავლის. მაგრამ არ შეიძლება მექანიკურად, დაუფიქრებლად გადმოვტანოთ ძველი გამოცდილება ჩვენს დღეებში. და მაინც გადმოგვაქვს, ანგარიშს არ ვუწევთ ახალ პირობებსა და საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის მოთხოვნებს, როცა სამეურნეო მექანიზმისა და დაგეგმვის სრულყოფა, მართვაში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის შეხამება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებას უნდა უზრუნველყოფდეს, როცა ის უცილობელ წანამძღვრად გვევლინება საქმისადმი თითოეული მშრომელის შეგნებული დამოკიდებულება, როცა მასთან საუბრის თვით ტონი, არგუმენტები, დარწმუნების საშუალებანი მის სოციალურ დანიშნულებასაც უნდა შეესაბამებოდეს, მის წინაშე მდგომ საწარმოო ამოცანებსაც და მისი განვითარების დონესაც.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების სოციალური დიალოგის განვითარებული, მომწიფებული ფორმები სჭირდება, რომლის ერთ-ერთი მხარეა პრესა, ბეჭდვითი თუ ელექტრონული. სწორედ — დიალოგისა, ურთიერთობის დემოკრატიული ფორმისა, რომელიც შეესაბამება საზოგადოებისა და ეკონომიკის მართვაში დემოკრატიული პროცესების გაღრმავებასა და გაფართოებას. ბეჭდვითმა, რადიო და სატელევიზიო მონოლოგმა, რომელიც „პატიარქალურ-ბრძანებითი“ ტონით მიმდინარეობს, დრო მოჭამა, როგორც დარწმუნების საშუალებამ. დრო მოჭამა, მაგრამ ცოცხლობს და თავის საქმეს განაგრძობს, მრავალსახოვნად და მრავალეროვნულად გვევლინება მილიონობით ეგზემპლიარი გაზეთებისა და ათასობით საათი ტელე და რადიოგადაცემის სახით...

სრულიადაც არ ვაპირებ რაღაც გზის მკვალავად და ახლის აღმომჩენად მოგაჩვენოთ თავი. ესოდენ კატეგორიულ დასკვნებსა და ტონს საფუძვლად უდევს ერთადერთი საგანგებოს პრაქტიკის საკმაოდ კარგი ცოდნა, სწორედ იმ საგანგებოსი, რომელმიც მე ვმუშაობ. ჩვენ, ალბათ, ყველაზე უარესი არა ვართ ქვეყნის რესპუბლიკურ საინფორმაციო საგენტოთა შორის, მაგრამ „ტრადიციები“, რომლებზეც ლაპარაკი მაქვს, საკმაოდ შეიმჩნევა ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სულ სხვა ორიენტირებს გვაძლევენ.

გვირეკავენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, პროგნოზირებასთან ვეტერანების მუშაობის გაუმჯობესების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების გზების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა ამერიკავკასიის რესპუბლიკების ყველა ვეტერანს მოუწოდეს, კიდევ უფრო გულმოდგინედ იმუშაონ მარქს-ენგელს-ლენინის უკვდავი იდეებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის, შთაუნერგონ მას ღრმა კომუნისტური რწმენა, მაღალი პოლიტიკური შეგნება, უნარი — საკადრისი პასუხი გასცეს კლასობრივი . მტრის იდეოლოგიურ დივერსიებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, მკვეთრად გამწვავებული საერთაშორისო ვითარების პირობებში. როგორც ხაზგასმით არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში, საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება თავისი და თავისი შეგობრების უშიშროებისადმი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მესვეურნი აშკარად აბუჩად იგდებენ სოციალისტური თანამეგობრობის ბანაკს.

ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში მუდამ მოელინან იმათ ცოცხალ, ემოციურ სიტყვას, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, საფუძველს უყრიდა სოციალისტურ საზოგადოებას, შრომობდა ხუთწლედის მშენებლობებზე, ზრდიდა სამშობლოს ეკონომიკურ ძლიერებას.

ემზადებიან რა გლობალური და „შეზღუდული“ ომების წარმოებისათვის, იმპერიალისტურმა მტაცებლებმა, რომლებიც ეყრდნობიან მოსყიდულ პროპაგანდისტულ აპარატს, გააჩაღეს იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც დღეს „ფსიქოლოგიური ომის“ ხასიათს იძენს. ჩვენი იდეური მტრების განუწყვეტელი ბოროტი გამოხდომების ობიექტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ჩვენი სოციალისტური წყობილება, ჩვენი შეიარაღებული ძალები — დედამიწაზე მშვიდობის საიმედო გარანტი. ბურჟუაზიული მჭლაბნელები, რომლებიც დაუსრულებლად იმეორებენ ყბადაღებულ მონაბეზრს „საბჭოთა კავშირის მხრივ ომის საფრთხის შესახებ“ და აყალბებენ საბჭოდრო ისტორიას, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, ცდილობენ გამაართულონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს აგრესიული პოლიტიკა.

თუ არა

ნ ი ჭ ი ს ელვარება



ალექსი მაჭავარიანის დაბადების 70 წლისთავის გამო

ხალასი ნიჭიერებით აღსავსე გახლავთ შემოქმედებითი ალზვეების ის დიდი გზა, ალექსი მაჭავარიანმა ესოდენ შემართებით რომ განვლო. მის უწყვეტ დინამიკაში მრავალი რამ იპყრობს ყურადღებას: ფაქტები, მოვლენები, თვითგამოსახვის ჭეშმარიტად ქვეცნობიერი ენინ, კომპოზიტორის სულიერ ძერათა სიღრმეებს რომ წარმოაჩენს.

მძლავრად, მთელი ხმით ითქვა ალ. მაჭავარიანის პირველივე სათქმელი, ქართულ საბჭოთა მუსიკაში უკიდეგანო მუსიკალურ-სააზროვნო თვალსაწიერის შემოქმედის შემოსვლა რომ გვამცნო. ამ დღეთა სუნთქვა დღესაც ასე ცხოვლად მოაქვს ცეცხლოკანი გზნებით აღძრულ ვირტუოზულ საფორტეპიანო ფრესკა „ხორუმსა“ თუ საფორტეპიანო კონცერტს, მუსიკას კინოფილმ „ჭაჭანასათვის“, თო ზეშთაგონებით დაწერილ რომანსს „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდჯ“, ძარღვიანი ქართული სამუსიკო მეტყველების ნიმუშები რომ მოგვცა და კომპოზიტორის ხელწერის განუმეორებლობაში დაგვარწმუნა.

მხატვრულ იდეათა და ემოციათა ულრმეს სამყაროში შევყავართ თითოეულ მათგანს თუ შემდგომ შექმნილ ბრწყინვალე ნაწარმოებთა მთელ წყებას, ალ. მაჭავარიანის შემოქმედების ისეთ შედევრებს რომ ითვლის, როგორიც არის მისი საგიორგინო კონცერტი, ვოკალური ბალადა „ირსენა“, რომანსი „ციცა ფერს“, საფორტეპიანო ბალადა „ბაზალეთის ტბა“, I სიმფონია, ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“ და ა. შ.

შესანიშნავი ხელოვნის ამ გამორჩეულ ქმნილებათაგან ერთ მწვერვალს მაინც განსაკუთრებული ნათელი ადგას. მის გახმაურებულ ბალეტ „ოტელოს“ ვგულისხმობთ, ქართული მუსიკისა და საბალეტო ხელოვნების ჭეშმარიტ მშვენებას, თანამედროვეთა ცხობიერებაში ესოდენ ღრმად რომ შეიჭრა იმ დაუწერელი კანონის ძალით, რასაც ბუნებითი ნიჭის ზემოქმედება ჰქვია. შეიჭრა, რამეთუ იმ ღირსსახსოვარ დღეს— 1957 წლის 27 ნოემბერს, — ბალეტ „ოტელოს“ პრემიერის დღეს მომხდარ „სასწაულს“ შეუძლებელია არ ჩქონდა თავისი გაგრძელება. მისგან დანთებული „ემოციური ცეცხლი“ მეოთხედი საუკუნის გავლის შემდეგაც კი არ განელებულა იმათ გულში, ვისაც წლად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო ამ ამაღლებული და ამაღელვებელი ქორეოგრაფიული ტრაგედიის პირველმაყურებელი. ზეიმი, ხელოვნების ჭეშმარიტი ზეიმი გრძელდებოდა და თავის ფერხულში აბამდა ყველას: თბილისელსა თუ მოსკოველ მაყურებელს, ლენინგრადელსა თუ საბჭოთა ქვეყნის სხვა დიდი მუსიკალური ცენტრების მცხოვრებთ. ალ. მაჭავარიანსა და ვ. ჭაბუკიანის უბადო ქმნილებამ ამთავითვე გამოიწვია საერთაშორისო რეზონანსიც. მრავალეროვანი მაყურებელი ყოველგვარი „წინაღობის“ გარეშე ეზიარა ამ ნაწარმოებს, რამეთუ „ოტელო“ თავის ორსავე განზომილებაში — ქორეოგრაფიულსა და საკუთრივ მუსიკალურშიც, ეროვნულისა და ზოგადსაზროვნოს შერწყმის ჭეშმარიტად მაღალი ნიმუში იყო და როგორც თანამედროვეობის დიდმა საბალეტო მოციქვავემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა გალინა ულანოვამ თქვა, „ადამიანთა გულებს ალაგზნებდა“. ვფიქრობთ, აქ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გაზეთ „პრავდაში“ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში დასტამბული სტატიიდან ერთი-ორი ადგილის მოყვანა: „ოტელო“ უჩვეულო, საინტერესო, გაბედული სპექტაკლია“, „კოლექტივმა... დამაჯერებლად გადაჭრა უძნელესი ამოცანა დრამის სცენურ მდგომარეობათა გადაყვანისა საცეკვაო მოქმედებაში... შექსპირის დიდებულმა ტრაგედიამ პოვა ახალი, თავისებური მუსიკალური და ქორეოგრაფიული გამოხატულება და, ვფიქრობთ, არ დაუკარგავს თავისი სილამაზე, პათოსი... ჩვენ განუწყვეტლივ ვხედავთ საცეკვაო მოქმედებას თავისი რთული ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით, მოვლენების, ეპიზოდების, ხასიათების ურთიერთკავშირით“.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ა. მაჭავარიანის, როგორც კომპოზიტორი-დრამატურგის საბალეტო ჟანრში გამარჯვების საწინდარი მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საწყისთა ერთიანობიდან წარმოდგარი „რიტმო-ინტონაციური“ „შექცევადობისა“ თუ „რიტმული პულსირების“ სიხჭირნულობის სწორედ ის თანდაყოლილი შეგრძნება გახლდათ, კომპოზიტორთან ქართული ხალხური სიმღერის სინკრეტული ბუნების ინტუიციური გრძნობიდან რომ ზვება და მის ქმნილებებს ესოდენ მაღალ რიტმულ დინამიკაში გარდატეხს. ამ მხრივ რაოდენ საცნაურია საფორტეპიანო პიესა „ხორუმისა“ თუ საფორტეპიანო კონცერტის სონატური ალეგროს კადენციაში აზვირთებული ამ გმირული ცეკვის რიტმი. ან შთაგონებული სავიოლინო კონცერტის სტიქიური რიტმული ექსპრესია, ესოდენ ბუნებრივად რომ შეუგუებია ავტორს უაღრესად ნაღვლ ლირიკულ სახეებთან. პოეტურია, განწმენდილია ამ მხრივ კომპოზიტორის ხედვა. ქართული რომანტიზმის სულთან მძლავრი თანაზიარობის გრძნობა გამოკრთის მის ლირიკულ წიაღსვლათაგან. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართულ პოეზიასთან ესოდენ მძლავრი თანაზიარობა არცთუ ისე ბევრს ახასიათებს თანამედროვე კომპოზიტორთაგან. პოეტურ სიმბოლოთა მაჭავარიანისეული აღქმის მრავალი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ ჩვენ მაინც ბალეტ „ოტელოს“ ბგერითს ქსოვილში გამკვეთი ინტონაციურ პლასტებად ხელდებული ორი შესანიშნავი ემოციურ-სახოვანი საყრდენის შეხვედება გვსურს, იმ ორი „ბგერითი სიმბოლოსი“, რომელთაგან ერთი კომპოზიტორის შესანიშნავი რომანსის — „სხივო მზეთა-მზის სახეო“, — თემატიზმიდან წარმომავლობს, მეორე კი—საფორტეპიანო ბალადა „ბაზალეთის ტბიდან“.

ერთი სიტყვით, ქართული ტრადიციიდან მომდინარე თვისებანი ალ. მაჭავარიანის ხელოვნების რომანტიკულობის საძირკვლად იქცა, აქედან — მისი მუსიკის ლირიკულ-დრამატული პათოსიც და ხალხურ-სასიმღერო ელემენტის „გათავისების“ მაჭავარიანისეული მანერაც, ერთობ ინდივიდუალური და ჭეშმარიტად განუმეორებელი.

ძნელია ყოველივე იმის აღნუსხვა, რაც თავის გზა-სავალზე ამ უაღრესად მღელვარე ბუნების შემოქმედს განუხორციელებია. „ქმნადობის“ ამ პროცესის ინტენსიურობაზე მისანიშნებლად ალბათ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე შეთხზულ ნაწარმოთა ჩამოთვლაც კმარა: ოპერა „ჰამლეტი“ და ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“, მრავალი საფორტეპიანო ოპუსი და ოპერეტა „ბაღლინჯო“, კვარტეტები და საფორტეპიანო სონატა... და ბოლოს, ის მასშტაბური სიმფონიური ტილოები, ახლახან რომ აეღერდა სახელგანთქმული კომპოზიტორის საავტორო კონცერტზე.

ოფიციალურად საიუბილეოდ არ იწოდა, მაგრამ თვისი არსით სწორედ ამგვარი გახლდათ ეს შთამბეჭდავი საღამო, ალ. მაჭავარიანის დაბადების 70-ე წელი რომ შეგვახსენა. რაოდენ მრავალწახნაგოვნად წარმოჩნდა კომპოზიტორის გამორჩეული ნიჭი თუნდაც ამ ერთ ფიცარ — როცა ორი ახალი — III და IV სიმფონიების პრემიერებით წარდგა იგი მსმენელთა „წინაშე და კვლავ მაძიებელ ხელოვნად წარმოგვიდგა.

მუდმივი გაახლების გრძნობი ზვება შესანიშნავი შემოქმედი თავის ნათელ ცხოვრებისეულ მიჯნას. და რაოდენ საცნაურია, რომ მისი ნიჭის ამ მარადიულ ყვავილობაში ასე ძალდაუტანებლად შემოვიდა „კონტრაპუნქტული ხმა“... ა. მაჭავარიანის საავტორო კონცერტზე ხმამ მამის ახალ სიმფონიურ ქმნილებათა ინტერპრეტატორი მისი ვაჟი — დიონიკორი ვახტანგ მაჭავარიანი იყო, რომელმაც კომპოზიტორის სამყაროში, მის შემოქმედებითს არსში ესოდენ ღრმად შეგვიყვანა.

მზია იაშვილი.

ვეტერანებმა აჩუქეს

სოხუმი. კავკასიისათვის ბრძოლის ორმოცი წლისთავზე კარგი საჩუქარი მიიღეს სოხუმის რაიონის სოფელ ფსხუს რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა. დიდი სამამული ომის მონაწილეთა ინიციატივით, რომლებიც ფაშისტ ეგერებს ებრძოდნენ ამ მაღალმთიანი სოფლის მისადგომებთან, თბილისელმა ომის ვეტერანებმა აჩუქეს სკოლას სასწავლო თვალსაჩინოებანი, „ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების მოწყობილობა, სასწავლო სახელოსნოს ინვენტარი და ა. შ.

ყოველ წელს უფრო და უფრო მშვენდება ეს სოფელი, რომელშიც ჩასასვლელად წლის ნებისმიერ დროს ყველაზე სამგზავრო ტრანსპორტი ვერტმფრინავი ი. ადგილობრივი სკოლის სულ უფრო მეტი კურსდამთავრებული რჩება მშობლიურ ფსხუში და ამრავლებს საბრძოლო ტრადიციებით ამ მდიდარი სოფლის შრომით დიდებას. (საქინფორმი).

წიგნის თარო

მკითხველები კარგად იცნობენ საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის ნარგიზა მგელაძის, როგორც პუბლიცისტურ, ასევე მხატვრულ ქმნილებებს.

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა დასტამბა ნარგიზა მგელაძის მოთხრობების კრებული „ახსნა“ (რედაქტორი — ზ. კუხიანიძე). წიგნში შესულია 14 მოთხრობა. ავტორი ანოტაციაში აღნიშნავს: „ძვირფასო მკითხველო, ჩემი გმირები თქვენს შორის დადიან, ზოგი დარდიანი, ზოგი ღიმილიანი. მიყვარს ცხონ. თუ ჩემს წიგნს ამ სიყვარულის ახსნად მიიღებთ, ხომ კარგი, თუ არადა, თავს ერთი ფილოსოფოსის სიტყვებით ვინუგეშებ: „თუ ვინმე გიყვარს, ადამიანი ხარ, ხოლო თუ ვინმეს უყვარხარ — ღმერთი“, რომლის პირველი ნაწილი ცოტა ამბავი სულაც არ გახლავთ და მე სავსებით მაკმაყოფილებს“. წიგნში შეტანილი მოთხრობებიც ამ სიტყვების დასტურია.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 12

გამოვიდა „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი მეთორმეტე ნომერი. მისი მეთაური სტატია ეძღვნება პირუტყვის გამოზამთრების საკითხს. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პაპუნიძის წერილში „საკარმიდამო მეცხოველეობა — მნიშვნელოვანი რეზერვი“ საუბარია ამ დარგში აჭარელთა გამოცდილებაზე.

ეურნალი მკითხველებს სთავაზობს წერილებს: გ. ცაგურიშვილისა—„მეტი ყურადღება შუაღელურ კულტურებს“, გ. გოგიტაშვილისა — „ინსულინის სუქების ეფექტიანობის გადიდებისათვის“, ნ. ბერიანიძისა და ზ. ქაფიაშვილის — „ვებრძოლთ კოლიბაქტერიოზს“, ი. სადათერაშვილის, ბ. ჩიტაიშვილის, ნ. ნიფეტვარიძის — „ჰელმინთოზებთან ბრძოლის ღონისძიებები წნორის მეცხოველეობის კომპლექსში“ და სხვ.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს კასუხს?

„ჟიგული“ ხევში გადაიჩეხა

შუალამისას მესტია-ზუგდიდის საავტომობილო გზაზე „ჟიგული“, რომელსაც გურამ მუშნის ძე აპრასიძე მართავდა, 150 მეტრი სიმაღლის ხევში გადაიჩეხა. თვით მძღოლი და ოთხი მგზავრი ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ.

იმ საბედისწერო ღამეს ხუთიათემ სოფელ ციცხვარის სასადილოში ივახშმა. როგორც მებუფეტე ამბობს, მათ სპირტიანი სასმელები არ დაულევიათ და გზა ზუგდიდისაკენ განაგრძეს... მეორე დილით კი მგზავრებმა შემაჩნიეს ხევში გადაჩეხილი ავტომანქანა და დახოცილები. მესტიის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე რომ მივიდნენ, გვამები უკვე წაეღოთ ჭირისუფლებს და ამიტომ მათი სიმთვრალე-სიფხიზლის შემოწმება ვერ მოახერხეს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით დადგინდა, რომ ავტომობილის გადავარდნის ადგილას გზას აკლდა ორი პარაპეტი, ასევე არ იდგა შემთხვევის ადგილზე გამაფრთხილებელი ნიშნები — „მარცხნივ მოსახვევი“ და „მკვეთრი მოსახვევი“.

ავტოავარია მოხდა მძღოლის უყურადღებობისა და საგზაო ნიშნების უქონლობის გამო.

გ. ლელაძე.

ყაბალი

თამაშობენ პრეტენდენტების ლონდონი

ბაღდასარი მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების — სმისლოვისა და რიბლის მატჩის მეათე პარტიაში თეორებით მოთამაშე რიბლიმ უარი თქვა ლაზიერის პაიკის დასაწყისზე, რომელსაც აქამდე იყენებდა და მიმართა ეგრეთ წოდებულ რეტის დებიუტს. ეს თვისებური დასაწყისი ჩვენი საუკუნის 20-ან წლებში დაამუშავა ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა, ცნობილმა თეორეტიკოსმა რიჰარდ რეტიმ. უნდა ითქვას, რომ ეს დებიუტი შეესაბამება კიდეც რიბლის თამაშის სტილს.

სმისლოვი, როგორც ჩანს, თავის წინასწარ სამზადისში ითვალისწინებდა, რომ რიბლი გარკვეულ მომენტში რეპერტუარს შეცვლიდა. მან მეტად თავისებურად განლაგა თავისი ძალები, რის შედეგადაც ბრძოლამ მანევრული ხასიათი მიიღო. 21-ე სვლაზე გაიცვალა ლაზიერები, შემდეგ კი ოთხი ეტლი. ნათელი გახდა, რომ ვერცერთი მხარე ვერ შეძლებდა მოგებისათვის ბრძოლას.

30-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 6:4 სმისლოვის სასარგებლოდ. ახლა მსოფლიო ექსჩემპიონს მატჩის მოსაგებად დარჩენილი ორი პარტიიდან ნახევარი ჭულაა სჭირდება. მორიგი მეთერთმეტე პარტია, რომელშიც სმისლოვი თეორებით ითამაშებს, დღეს გაიმართება.

სატურნირო ორბიტა

ქალაქნობა. ლენინგრადში მიმდინარე საკავშირო თასის გათამაშებაში 67,5 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის სპორტსმენთაგან შესანიშნავად იასპარეზა კალინინელმა ვ. გრაჩოვმა, რომელმაც ატაცში მსოფლიო რეკორდი დაამყარა (155 კგ), შემდეგ კი ორეულდში 335 კგ დააგროვა და საკავშირო მიღწევა გაუმჯობესა. გრაჩოვმა თასთან ერთად ცალკეულ ვარჯიშებში ოქროს მედლებიც მოიპოვა. ორეულდში მეორე ადგილზე გამოვიდა ლიპეცკელი ს. კუზნეცოვი — 325, მესამეზე — ტომსკელი ი. ამპლეევი — 320 კგ. 75 კილოგრამამდე წონითის კატეგორიაში უძლიერესი გახლდათ უფროსი ვ. დურნევი (360 კგ). მანვე მოიპოვა ოქროს მედლები ცალკეულ ვარჯიშებში. ორეულდში მეორე ადგილი დაიკავა დნეპროპეტროვსკელმა ი. სავინმა — 355, მესამე — კუსტანაელმა ს. ტოვბულატოვმა — 347,5 კგ.

ქალთაბურთი. გაიმართა ევროპის ტურნირების მეოთხედფინალური მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: **თასების მფლობელთა თასი. ჯგუფი „ა“.** იტალიის „სიმაკი“-ინგლისის „სოლენტი“ — 61:67; **ჯგუფი „ბ“.** იტალიის „სკავოლინი“-საბერძნეთის „პანათინაიკოსი“ — 87:75; **კორაჩის თასი.** ესპანეთი „ცაი“-იტალიის პლბ-90:62, იტალიის „ვერესე“-საბერძნეთის „პოოკი“ — 93:90; **რონკეტის თასი ქალთა გუნდებს შორის. იტალიის „ვიტერბო“**-უნგრეთის ბსე — 77:85, საფრანგეთის „რესინგი“-იტალიის „სკიო“ — 77:65.

ბაღდასარი. ჯაკარტაში (ინდონეზია) დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვა ჰოლანდიელმა იან ტიმანმა, რომელმაც 15,5 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა უნგრელი ლაიოშ პორტაში — 14, მესამეზე — მოსკოველი არტურ იუსუპოვი — 13,5 ქულა. ლვოველმა ოლეგ რომანინმმა 12,5 ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ტალინში გათამაშდა მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (პირველი ლიგა) მეცხრე ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. თბილისელმა ე. უბილავამ ბალაშოვთან და პოდგაეცთან გადადებული პარტიები ყაიმით დაამთავრა. მას მომდევნო, მეათე ტურის წინ 4,5 ქულა ჰქონდა. შეჯიბრების ლიდერი გახდა ლვოველი ი. დორფმანი — 6,5 ქულა.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ნამყენები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. წ. 23 დეკემბერს 15 საათზე იწვევს თათბირს, რომელზეც საჯაროდ იქნება განხილული გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომები.

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს.

სხდომა გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებაში (მისამართი: რუსთაველის გამზირი, № 52, IV სართული, ოთახი № 411).

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრო და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ხაშურის რაიონის და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი

მერაბ გივის ძე მათიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა ჩვენი პარტიის სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა. 1983 წლის ივნისის პლენუმზე, ამხანგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, რომ პარტიის სოციალურ პოლიტიკაში სულ უფრო მეტი ადგილი დაეთმობა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდება.

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში უდიდეს მოვლენად იქცა ახლახან გამართული რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. აქ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების და ამასთან პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ძირითადი ამოცანაა დაავადებათა პროფილაქტიკისათვის მუშაობის გაძლიერება, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაცია.

დროულად თუ გამოვავლენთ...

დაავადების პროფილაქტიკას და მის ადრეულ გამოვლინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ავთვისებიანი სიმსივნეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მაგრამ ბოლო წლებში მოუხედავად იმისა, რომ, სტატისტიკური მონაცემებით, კავშირში ყოველწლიურად 120-140 მილიონი ადამიანი ისინჯება, რამდენადმე დაკარგა ქმედითობა. ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადება მატულობს.

ენციკლოპედიურმა კიბომ, რომელშიც სარძევე ჯირკვლის კიბოც უნდა ვიგულისხმოთ, პირველი ადგილი დიჭირა ქალთა მოსახლეობის კიბოთი დაავადებაში.

ავთვისებიანი სიმსივნეების დაავადების მატება მარტო ჩვენთან როდია. ასეთივე სურათი აღინიშნება სხვა რესპუბლიკებშიც. საერთოდ კი ენციკლოპედიური კიბოთი ჩვენს რესპუბლიკაში 25-30 პროცენტით ნაკლები ავადდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აქტივის კრებაზე თავის მოხსენებაში აბორტების გახშირება სრულიად სამართლიანად ანტისახელმწიფოებრივ და ანტისაზოგადოებრივ მოვლენად მიიჩნია. მანვე აღნიშნა, რომ მარტო 1982 წელს რესპუბლიკაში 100 ათასი ამგვარი ოპერაციაა აღრიცხული, 1960 წელთან შედარებით ერთიორად მეტი. აი ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანე, რომელიც გინეკოლოგიური კიბოთი დაავადების საბოთი ფაქტორად იწვევს. გინეკოლოგიური კიბოს მატებას ხელს უწყობს აგრეთვე ბოლო დროს გახშირებული კვების კულტურის ხარვეზები — სიმსუქნე, ენდოკრინული და ნივთიერებათა ცვლის მოშლა (დიაბეტი, ჰიპერტონია და სხვ.).

ჩვენი მეთოდი გულისხმობს საწარმო-დაწესებულებებში მიმდინარე ნაყლებად ეფექტიან ონკოპროფილაქტიკურ გასინჯვებზე უარის თქმის და მის უბნობრივ განხორციელებას. აქ გასინჯვის გარდა, გამოჰკითხავენ ანამნეზს და ამოწმებენ ციტოლოგიურად. ფონური და კიბოსწინა დაავადების ნიშნების მქონე ქალებს დაუყოვნებლივ აღრიცხავენ სამკურნალოდ, უვსებენ ამბულატორიულ ბარათს. ამავე დროს გამოკითხვით გამოავლენენ ქალებს, რომლებსაც ამჟამად რაიმე პათოლოგია არ აღენიშნებათ, მაგრამ აქვთ რისკის ფაქტორები. რისკის ოთხი და მეტი ფაქტორის (ჩვენ მიერ შედგენილი ტაბულის მიხედვით, რომელშიც 18 ფაქტორია) შემთხვევაში პაციენტს ჩარიცხავენ ჯარი რისკის ქალთა ჯგუფში, უვსებენ დისპანსერული აღრიცხვის ბარათს (ფ. № 30) და ყოველწლიურად უტარებენ ღრმა პროფილაქტიკურ გასინჯვებს დიაგნოსტიკის თანამედროვე კომპლექსური მეთოდების (ციტოლოგია, კოლპოსკოპია, ენდოსკოპია, რენტგენოგამოკვლევები) გამოყენებით, დანარჩენი ქალები კი სამი წლის განმავლობაში თავისუფალი არიან პროფილაქტიკური გასინჯვისაგან.

ჩვენი მეთოდის ექსპერიმენტულმა შესწავლამ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ქალთა კონსულტაციებში დაადგინა, რომ ჯარ რისკიან ქალთა სიხშირე მოსახლეობაში 15-20 პროცენტს შორის მერყეობს. მეთოდის დანერგვამ ბოლო ხანს 30-35 პროცენტით შეამცირა რაიონში გინეკოლოგიური კიბოთი დაავადებულთა რიცხვი და გაუჯერობესა კიბოს ნაადრევი გამოვლინება.

ჩვენი მეთოდი არ მოითხოვს საშტატო-ფინანსურ, მატერიალურ და კადრების მხრივ რაიმე რეფორმებს, ეკონომიკურია და უპასუხებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას მოსახლეობის საყოველთაო ყოველწლიური დისპანსერიზაციის შესახებ. რესპუბლიკის ქალთა კონსულტაციებში აღნიშნული მეთოდის საყოველთაო დანერგვა ეფექტიანი საშუალება იქნება ქალთა გაჯანსაღებისა და ავთვისებიანი სიმსივნეების კლებისა და ნაადრევი გამოვლინებისათვის.

ლ. ჩარკვიანი,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის გინეკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საათებზე თბილისური დროა



„ელექტრონიკა 20-01“ — ასე ეწოდება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მოონისა“ და საცდელი ჭარხნის მიერ გამოშვებულ მცირეგაბარიტიან მაგიდის საათს.

მისი კონსტრუქცია მარტივია და ხაიმედოა მუშაობისას. თუმცა ეგი მცირე ზომისაა, რამდენიმე უფუქციას ახორციელებს და მთელი წლის განმავლობაში არ სჭირდება კვების წყაროს გამოცვლა.

მიმდინარე წელს მომხმარებელმა მიიღო თბილისური მარკის 42 ათასზე მეტი ელექტროსაათი. აქ წლის ბოლომდე კიდევ სამი ათას ცალს გამოუშვებენ.

სურათებზე: წარმოების მოწინავე მუშაკები (მარცხნიდან) — მარეგულირებელი ირმა ირემაშვილი, ამწყობი ზეინკლები თამარ ცოტნაშვილი და მავრა ცოცაგი; თბილისური მარკის მინიატურული ელექტროსაათი; ამწყობი ზეინკალი ინგა ასტახოვა.

შ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამღერებული მინა

ექსპოზიციაში ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრებია

მხატვრის სახლში გახსნილ ფერადი მინის გამოფენაზე თავიანთ ხელოვნებას გვაცნობენ ახალგაზრდა მხატვრები, რომელთაც სულ რამდენიმე წელია დაამთავრეს თბილისის სამხატვრო აკადემია და წარმატებით იღვწიან ფერადი მინის დარგში.

ცისანა მჭედლიძე, გულიკო ჭუმბაძე, თამარ გრიგოლია, ეკატერინე ჩიღუნაძე, ნანა ხეჩუმაშვილი, მზია მელიქსეთ-ბეგი, ჯუდუ ფერაძე, თენგიზ კიტოვანი — აი ის შემოქმედნი, რომელთა ნამუშევრები გამოირჩევა შესრულების მაღალი ტექნიკით, პლასტიკურობით, ფერთა ჰარმონიით, დახვეწილი გემოვნებით.

აღსანიშნაავა, რომ ყველა მათგანი რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილი გამოფენების მონაწილეა, ხოლო პირველად თავიანთი ნამუშევრები ასე ხელხვავიანად მხოლოდ ახლა წარმოადგინეს.

თუმცა ქართული მინის ხელოვნებას დიდი ხნის ისტორია და ტრადიციები აქვს, მაგრამ მისი აღორძინება ჩვენში მხოლოდ სამოციანი წლებიდან დაიწყო, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიაში კერამიკის კათედრასთან ჩამოყალიბდა მინის განყოფილება. აქამდე ქართველ მხატვრებს თავისი ნამუშევრების შესაქმნელად რუსეთსა და უკრაინაში უხდებოდათ მუშაობა. ამჟამად კი საქართველოს სამხატვრო ფონდთან სულ ორიოდე წელია, რაც გაიხსნა ფერადი მინის საამქრო და გამოფენაზეც წარმოდგენილი ბევრი ნამუშევარი, მათ შორის თენგიზ კიტოვანის ფერადი მინის ნაკეთობანი, მთლიანად ამ საამქროშია შექმნილი.

მონუმენტურობისადმი სწრაფვა გამოფენის ყველა მონაწილისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ გამორჩეულად უფრო თამარ გრიგოლიას ნამუშევრებში იგრძნობა. გზიბლავთ მისი მოყვავისფრო, მოთეთრო ვაზები. „მთათუშეთი“, „ზღვის რვაფეხა“, სოკოსებრი ლარნაკები.

ნანა ხეჩუაშვილი დიდი ხანია მუშაობს ფერად მინაზე. იგი სამხატვრო აკადემიის პედაგოგია და თავად ასწავლის სტუდენტებს მინის კომპოზიციას. მის ნამუშევრებში იგრძნობა ფორმის, ფერის ძიება. ყურადღებას იქცევს დეკორატიული ჭანდაკებები, ვაზების კომპლექტები, ლუდის წოთელი სერვიზი, „ზღვის ქაფი“.

მოწითალო, ნარინჯისფერი ჭარბობს ცისანა მჭედლიძის ლარნაკებსა თუ დეკორატიული ვაზების კომპლექტებში — „არქიტექტურა“, „შემოდგომა“, განსაკუთრებით გზიბლავთ თავისებური ფორმის დეკორატიული კედლის თეფშები „ჰეპლები“.

ჭოეტურ განწყობას გიქმნით ნატიფი ხელოვნებით შესრულებული ჯუდუ ფერაძის ბროლის ყვავილების კომპლექტი „თეთრი აპრილი“, ვაზების კომპლექტი „მარტი“, ლურჯი ფერის „კლდეები“, ფერადი ბროლის „კოქტუსები“.

საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი გულიკო ჭუმბაძეს მომწვანო, ჭარბისფერი ვაზების კომპოზიცია, რომლებიც გამოირჩევა როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით. ამ კომპოზიციას მეტ ეფექტურობას მატებს ბუოთისებური გამოსახულებანი.

ნატიფი ხელოვნებით გამოირჩევა ეკატერინე ჩიღუნაძის ყელმაღალი ქართული სერვიზი, ხილის, ლუდის, წყლის კომპლექტები.

მზია მელიქსეთ-ბეგის დეკორატიული ვაზების, ხილის კომპლექტებში იასამნისფერი, ყავისფერი გამა ჭარბობს. საინტერესოა მისი სოკოების, ბოთლების კომპლექტებიც.

თენგიზ კიტოვანის ნამუშევრებიდან განსაკუთრებით გამოვარჩევდით მწვანე ფერის „მზესუმზიერებს“, „ქაქტუსებს“, თაფლისფერ ვაზებს.

გამოფენა ფრიად საინტერესოა. იგრძნობა ქართული მინის აღორძინება, რაც უთუოდ მისასალმებელია.

ლ. ტატიშვილი.

სურათზე: გამოფენის ერთი კუთხე.

ვ. ბენგზიურის ფოტო.

ტელევიზია

17 დეკემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — კონცერტი. 9.50 და 13.35 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.10 — „სპორტლოტო“. 10.20 — თქვენთვის, მშობლებო! 10.50 — მეტი უკეთესი საქონელი. 11.20 — „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 11.30 — სატირა მშვიდობისათვის, ბრძოლაში. 11.50 — ხალხური შემოქმედება. ტელემმოხლვა. 12.35 — საგანგებო დანიშნულების ფაილვეშა სამუშაოთა ექსპედიციის 60 წლისთავის გამო. 13.20 — უკრავს ვ. კოტტუნი (აკორდეონი). 13.55— მეცნარეთა სამყარო. 14.40 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ბავშვობის ცირკი“. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — კონცერტი. 16.25 — ფილმი — ბავშვებს. 17.25 — ახალი ამბები. 17.30 — გესაუბრებათ პოლიტიკური მიმოხილველი ი. ა. ლეტუნოვი. 18.00 — მულტფილმი. 18.40 — აშკარა — დაუჯერებელი. 19.40 — მოცარტი — დივერტისმენტი სიმებიანი ორკესტრისათვის, 19.55 — გესაუბრებათ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. ჟუკოვი. 20.25 — მხატვრული ფილმი „ციფრინავენ წეროები“. 22.00— „ვრემია“. 22.35 — ფიგურული ციგურა